



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080100623741119

№ 1451

12 / მარტი / 2019 წ.

**შპს „დ.ი.ა სერვისის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია;

**ტენდერის ნომერი:** NAT180013131;

**შესყიდვის ობიექტი:** 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** შპს „დ.ი.ა სერვისი“ (ს/ნ: 205151315);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 15 იანვარს წარმოდგენილ იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 15 იანვრის №02/193 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №351), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „დ.ი.ა სერვისის“ (ს/ნ: 205151315) მიერ NAT180013131 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 26 სექტემბრის № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „დ.ი.ა სერვისის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [amiranabesadze@gmail.com](mailto:amiranabesadze@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 17 იანვრის № 166 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2018 წლის 23 იანვარს შპს „დ.ი.ა სერვისმა“ წარმოადგინა 2019 წლის 22 იანვრის №022/19 განმარტება (რეგისტრაციის № 723) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 26 სექტემბრის № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ ბორჯომში, სოფელ ყვიბისში, სოფელ რველსა და დაბა ახალდაბაში ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 124 894,06 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 მარტი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 8 იანვრის № 0235 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 26 სექტემბრის №303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „დ.ი.ა სერვისის“ დააკისრა პირგასამტეხლო 1 248,94 ლარის ოდენობით.

### 3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან არაერთხელ აცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩენილ იქნა გარემოებები, რომლებიც მოითხოვდა პროექტების კორექტირებას, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ნაწილობრივ გაითვალისწინა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ მას შემსყიდველი ორგანიზაციისგან წერილობითი პასუხი არ მიუღია, რის გამოც იგი იძულებული გახდა, შეეჩერებინა სამუშაოების შესრულება. მიმწოდებლის განმარტებით, იგი მზად იყო, პროექტის კორექტირების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში დაესრულებინა სამუშაოები.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 20 აგვისტოს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT180013131 ელექტრონული ტენდერი ხიდებისთვის სამშენებლო სამუშაოების (CPV45221100) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 19 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით შპს „დ.ი.ა სერვისი“ (ს/ნ: 205151315) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 26 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ ბორჯომში, სოფელ ყვიბისში, სოფელ რველსა და დაბა ახალდაბაში ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 114 830 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 მარტი.

4.4. №303 ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაეწყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

4.5. 2018 წლის 4 ოქტომბრის №072/18 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი ამზადებდა ხიდის ახალ საკიდებს, რაც მოითხოვა გარკვეულ დროს. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ხიდის დემონტაჟის სამუშაოების დაწყების ვადის გადაწევა ორი კვირით.

4.6. შპს „ქრიზოლითი +“-ის 2018 წლის 10 ოქტომბრის წერილიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 8, 9 და 10 ოქტომბერს სამუშაოები არ მიმდინარეობდა.

4.7. 2018 წლის 8 ოქტომბრის №074/18 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ პროექტი საჭიროებდა კორექტირებას, მათ შორის:

4.7.1. არ ჩანდა საკიდი დეტალების ჩამაგრების კვანძი;

4.7.2. მითითებული არ იყო ხრახნის მონაცემები, რომელზეც უნდა დაკიდებულიყო ხიდის სავალი ნაწილი;

4.7.3. მიმწოდებლის აზრით, აუცილებელი იყო, რომ სავალი ნაწილის ბეტონის ფილას დაეფარა ლითონის ნაწილები;

4.7.4. პროექტით გათვალისწინებული ბურჯის სიმაღლე (2,1მ) არ შეესაბამებოდა ფაქტობრივ მდგომარეობას (2,4მ).

4.8. 2018 წლის 12 ნოემბრის №077/18 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ აცნობა, რომ პროექტი საჭიროებდა კორექტირებას.

4.9. მიმწოდებელმა შეასრულა 23 437,95 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 20%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 22 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით.

4.10. შპს „ქრიზოლითი +“-ის 2018 წლის 29 ნოემბრისა და 13 დეკემბრის წერილებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით.

4.11. 2018 წლის 6 დეკემბრის №081/18 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მილის ნაშენის კოჭსა და სანაპირო ბურჯს შორის მანძილი შეადგენდა 27-30სმ-ს, ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 7-8სმ-ისა. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ხარვეზის აღმოფხვრა.

4.12. 2018 წლის 6 დეკემბრის შეთანხმებით, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 124 894,06 ლარამდე.

4.13. შპს „ქრიზოლითი +“-ის 2018 წლის 24 დეკემბრის წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამუშაოებს არ ასრულებდა.

4.14. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 8 იანვრის №0235 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 26 სექტემბრის № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „დ.ი.ა სერვისი“ დააკისრა პირგასამტეხლო 1 248,94 ლარის ოდენობით.

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „დ.ი.ა სერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

**7. სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის განმარტებას ხიდის ახალი საკიდების ქარხნული წესით დამზადების გამო ხიდის დემონტაჟის სამუშაოების დაწყების ვადის გადანევასთან დაკავშირებით. სააგენტო აღნიშნავს, რომ სატენდერო წინადადების წარდგენის ეტაპზე, მიმწოდებლისთვის ცნობილი იყო, როგორც შესასრულებელი სამუშაოები (მათ შორის, ხიდის დემონტაჟი), ასევე ვალდებულებების შესრულების ვადა (ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე). რაც შეეხება მიმწოდებლის 2018 წლის 12 ნოემბრის № 077/18 წერილში მითითებულ გარემოებებს, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა, სატენდერო წინადადების წარდგენამდე გაცნობოდა NAT180013131 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციას (მათ შორის, შესაბამის პროექტებს), ასევე ფაქტობრივ მდგომარეობას, გაეთვალისწინებინა ის გარემოებები, რომლებიც მან მიუთითა 2018 წლის 12 ნოემბრის № 077/18 წერილში და იმგვარად დაეგეგმა სამუშაოების შესრულება. ამდენად, მიმწოდებლის მიერ ხსენებული ვითარება არ წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან განმათავისუფლებელ გარემოებას.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 26 სექტემბრის № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.


7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს გემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა 2018 წლის 26 სექტემბრის № 303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო სამუშაოების სრული მოცულობის მხოლოდ 20%. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „დ.ი.ა სერვისი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „დ.ი.ა სერვისი“ (ს/ნ: 205151315) 2019 წლის 13 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე